ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის
დირექტორის თინა თუთბერიძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ სამუსიკო სკოლაში 2020-2021 სასწავლო წელს მუსიკალურ განათლებას ეუფლებოდა 233 მოსწავლე 4 სხვადასხვა სპეციალობაში, როგორიცაა: ფორტეპიანო, გიტარა, ვიოლინო, საესტრადო ვოკალი.

პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, სასწავლო წლის პირველ ნახევარში გაკვეთილები ტრდებოდა ონლაინ, უმეტესმა მოსწავლეებმა აითვისეს პროგრამის მინიმუმზე მეტი,

ხოლო პედაგოგების დიდი ძალისხმევით, ჩვენმა წარჩინებულმა მოსწავლეებმა სხვადასხვა ფესტივალებში და კონკურსებში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებებსაც მიაღწიეს.

გაგაცნობთ 2021 წელში მიღწეულ შედეგებს:

საერთაშორისო ონლაინ კონკურსი ,,ნორჩი ვირტუოზი'' I ადგილი

აპრილის თვეში რ ლაღიძის სამუსიკო სკოლამ უმასპინძლა საქართველოს ხელოვანთა კავშირის ,,ხელოვანები მომავლისათვის'' რესპუბლიკური კონკურს- ფესტივალის ,,მომავლის ვარსკვლავების'' რეგიონალურ ტურს და რეგულაციების მკაცრი დაცვით ჩატარდა ჭიათურის, ხარაგაულის, თერჯოლის და ადგილობრივი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მოსმენები. რეგიონალურ ტურში მონაწილე 14 მოსწავლიდან 7 განსაკუთრებულად წარმატებული მოსწავლე მიწვეული იქნა თბილისში, გალა კონცერტისთვის, აქედან 1 მოსწავლე დაჯილდოვდა განსაკუთრებული ნომინაციით სა ფასიანი საჩუქრით.

ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ კონკურსზე ,,იპოვე შენი ვარსკვლავი'', რომელიც ეძღვნებოდა გია ყანჩელის ხსოვნას , მონაწილე 6 მოსწავლიდან

ლაურეატები გახდნენ და მოიპოვეს : 3 - I ადგილი, 1 –II ადგილი და 2 – III ადგილი

რესპ.კონკურსი ,,რონდო -კლასიკა'' 1 მოსწავლე გახდა ლაურეატი

სენაკის ART FEST -ზე მონაწილე 5 მოსწავლიდან სიგელი დაიმსახურა 2-მა, ხოლო საპატიო დიპლომი 3 -მა მოსწავლემ, მათგან ერთი გახდა ფესტივალის ლაურეატი და დაუკრა გალა კონცერტზე.

მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალ ,,იმერეთის ხმაში'', სადაც ჩვენი მოსწავლე, როგორც წინა კონკურსის გამარჯვებული, მიწვეული იყო სტუმრის სტატუსით.

ოთარ თაქთაქიშვილის სახ. მე-2 საერთაშორისო კონკურსზე ნომინაცია მოიპოვა ერთმა მოსწავლემ.

ამ გასვლითი ღონისძიებების პარალელურად სკოლაში სასწავლო წლის ბოლოს ორგანიზებულად

ჩატარდა პირველკლასელთა კონცერტი, ,,მუსიკალური კალენდრის'' ორი კონცერტი, აკადემიური კონცერტები, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები.

აგვისტოს თვეში ქ.ბორჯომში საერთაშორისო კონკურს-ფესტივლის ფარგლებში WORLD HARMONY-2021 ში მონაწილე მოსწავლეებსა და პედაგოგებს გადაეცათ სერთიფიკატები პროექტში წარმატებული მონაწილეობისათვის.

ქ. ბათუმში გამართულ კლასიკური მუსიკის მე-14 საფესტივალო კვირეულზე „მომავლის ვარსკვლავები-ფესტივალიდან ფესტივალამდე“ წარმატებულად წარმოჩინდნენ პატარა პიანისტები.

ქ.თბილისში ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში გაიმართა ახალგაზრდა შემსრულებელთა ეროვნული საშობაო კონცერტი, რომელშის მონაწილეობდა ჩვენი სკოლის 2 მოსწავლე. დეკემბრის თვეში სამუსიკო სკოლაში ჩატარდა საახალწლო კონცერტი.

მიუხედავად პანდემიისა და გაუთვალისწინებელი შეფერხებებისა, აღმოჩნდა, რომ დაუძლეველი პრობლემები არ არსებობს და დირექციის, პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების ძალისხმევით, 2021 წელი აკადემიურად დამაკმაყოფილებელ დონეზე დასრულდა. იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში, უფრო სტაბილურ ვითარებაში წარიმართება მოვლენები და სკოლაც უკეთესი შედეგებით იამაყებს.

სამუსიკო სკოლის დირექტორი: თ. თუთბერიძე

თ. თუთბერიძე

ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის
2021 წლის საკასო შესრულება.

სამუსიკო სკოლას 2021 წელს სუბსიდია ჩაერიცხა 190 000 ლარი, საიდანაც ხელფასის ფონდში გაიხარჯა 163 639 ლარი; პრემია 11 500 ლარი, კომუნალური 5 413 ლარი, ოფისის ხარჯი 9 208 ლარი, მივლინება ქვეყნის შიგნით 240 ლარი.

ნაშთი სკოლას 01.01.2021 წლისათვის ქონდა 2 761 ლარი. მშობელთა შემონატანმა 2021 წელს შეადგინა 27 524 ლარი, აქედან გაიხარჯა ხელფასის ფონდში 26 260 ლარი, სხვა ხარჯი 667 ლარი, ოფისის ხარჯი 280 ლარი, სულ მშობელთა შემონატანით ხარჯმა შეადგინა 27 207 ლარი.
სკოლას აგრეთვე ჩაერიცხა კულტურის სამინისტროდან გრანტი 29 380 ლარი, რომლითაც შეძენილი იქნა როიალი.
სკოლას 01.01.2022 წლისათვის ნაშთი მშობელთა შემონატანით დარჩა 3 078 ლარი.

სამუსიკო სკოლის დირექტორი: /თინა თუთბერიძე/

ორგანიზაციული კოდი	ღება ააიპ რ. ლაღიძის სახ. სამუსიკ	სულ ორგანიზაციის ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები	ბუბსიდია	სულ ორგანიზაციის ბიუჯეტი შესრულებ	საკუთარი შემოსავლები შესრულება	სუბსიდია
05 02 06	ა.ა.ი.პ ე. რ. ლაღიძის სამუსიკო სკოლა	249.8	59.4	190.4	246.6	56.6	190.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	49.0	7.0	42.0	51.0	9.0	42.0
2	ხარჯები	220.4	30.0	190.4	217.2	27.2	190.0
2.1	შრომის ანაზღაურება	202.0	26.9	175.1	201.4	26.3	175.1
2.1.1	ხელფასი	202.0	26.9	175.1	201.4	26.3	175.1
2.1.1.1	ხელფასები ფულადი ფორმით	202.0	26.9	175.1	201.4	26.3	175.1
2.1.1.1.1	თანამდებობრივი სარგო	190.5	26.9	163.6	189.9	26.3	163.6
2.1.1.1.3	პრემია	11.5	0.0	11.5	11.5	0.0	11.5
2.2	საქონელი და მომსახურება	17.6	2.4	15.2	15.1	0.3	14.8
2.2.2	მივლინებები	1.0	0.0	1.0	0.2	0.0	0.2
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	1.0		1.0	0.2	0.0	0.2
2.2.2.2	მივლინება ქვეყნის გარეთ	0.0		0.0	0.0	0.0	0.0
2.2.3	ოფისის ხარჯები	7.0	0.0	7.0	6.9	0.3	6.6
2.2.3.1	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა	0.5	0.0	0.5	0.5	0.0	0.5
2.2.3.4	მცირეფასიანი საოფისე ტექტნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	0.2	0.0	0.2	0.2	0.0	0.2
2.2.3.4.5	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	0.2		0.2	0.2	0.0	0.2
2.2.3.7	რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	0.5		0.5	0.5	0.0	0.5
2.2.3.10	კავშირგაბმულობის ხარჯი	0.9		0.9	0.7		0.7
2.2.3.12	კომუნალური ხარჯი	4.9	0.0	4.9	4.7	0.0	4.7
2.2.3.12.1	ელექტროენერგიის ხარჯი	0.7		0.7	0.5		0.5
2.2.3.12.2	წყლის ხარჯი	0.2	0.0	0.2	0.3	0.0	0.3
2.2.3.12.3	ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	4.0	0.0	4.0	3.9	0.0	3.9
2.2.10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	9.6	2.4	7.2	8.0	0.0	8.0
2.2.10.14	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	9.6	2.4	7.2	8.3	0.3	8.0
2.8	სხვა ხარჯები	0.8	0.7	0.1	0.7	0.7	0.0
2.8.2.1.15	გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის	0.7	0.7		0.7	0.7	
2.8.2.1.16	მოსაკრებლები	0.1		0.1	0.0	0.0	0.0

31.1	*ძირითადი აქტივები*	29.4	29.4	0.0	29.4	29.4	0.0
31.1.2.2	*სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა*	29.4	29.4	0.0	29.4	29.4	0.0
31.1.2.2.1	*მუსიკალური ინსტრუმენტის*	29.4	29.4		29.4	29.4	